

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასატრევი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით არსებული და პროგნოზირებადი რისკები

შესავალი

დღეს, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად ადგილობრივი ენერგეტიკული პოტენციალის ეფექტურ ათვისებას განიხილავს; ძირითად მიმართულებად განსაზღვრულია ჰიდროპოტენციალის მაქსიმალური ათვისება, რომელმაც ეტაპობრივად უნდა ჩაანაცვლოს იმპორტი და გაზარდოს საექსპორტო პოტენციალი. საბოლოო ჯამში, ქვეყანა უნდა გადაიქცეს სუფთა ენერჯის წარმოებისა და ვაჭრობის რეგიონულ ცენტრად.

გენერაციის დამატებითი სიმძლავრეების შექმნაზე გამახვილებული ყურადღება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2014 წლის 25 ივლისს გამოქვეყნებული საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის სამუშაო ვერსიაშიც, რომელიც უნდა იყოს ენერგეტიკის დარგში განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების და მათზე დაფუძნებული ენერგეტიკული სექტორის პროგრამების შემუშავებისა და დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის განვითარების საფუძველი¹.

მართალია, აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი ჯერ არ არის დამტკიცებული, თუმცა დოკუმენტიდან ნათელი ხდება, რომ საქართველოს მთავრობის ძირითად პრიორიტეტს სწორედ ჰიდრორესურსების ათვისება წარმოადგენს. დოკუმენტში პირდაპირაა ხაზგასმული, რომ „საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით, ასევე გააჩნია ქარის, მზის, ბიომასისა და გეოთერმული წყლების პოტენციალი, რაც საშუალებას იძლევა, შეიქმნას დამატებითი სიმძლავრეები, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების განხორციელების გზით.“ აღნიშნულის მისაღწევად კი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სახელდება უმთავრეს პრიორიტეტად.

ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2008 წლის 18 აპრილს მიიღო N107 დადგენილება „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“. დადგენილება ქმნიდა სამართლებრივ საფუძველს საქართველოს მთავრობის მიერ პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“-ის ფარგლებში მემორანდუმების გაფორმებისთვის, რომლის მოქმედების პერიოდში სულ გაფორმებულ იქნა 24 ურთიერთგაგების მემორანდუმი/ხელშეკრულება², რომელიც ითვალისწინებდა 45-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურის (შემდგომში - ჰესი) მშენებლობას.

2013 წლის 21 აგვისტოს მიღებულმა საქართველოს მთავრობის #214 დადგენილებამ შეცვალა მანამდე არსებული #107 დადგენილება და შესაბამისად, შეიცვალა საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმების დადების პირობებიც, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა დადგენილებით განსაზღვრული პირობებისგან (ახალი #214 დადგენილება არ ვრცელდება უკვე გაფორმებულ 24 მემორანდუმსა თუ შეთანხმებაზე). დღევანდელი მონაცემებით, ახალი დადგენილების მოქმედების პერიოდში, 26 მემორანდუმია ხელმოწერილი კომპანიებთან ჰესების მშენებლობის თაობაზე, ხოლო 4 პროექტზე არსებობს საქართველოს მთავრობის თანხმობა, დამონებული მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით, მემორანდუმებზე ხელმოწერის მიზანშეწონილობის შესახებ.

¹ ენერგოპოლიტიკის სამუშაო ვერსიის მიხედვით;

² იხ. ცხრილი #2: 2007-2012 წლებში საქართველოს მთავრობასა და კომპანიებს შორის ჰიდროელექტროსადგურების თაობაზე დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და ხელშეკრულებები;

როგორც წესი სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები ეროვნულ (და საერთაშორისო) კანონმდებლობასთან ერთად, უნდა განსაზღვრავდნენ საინვესტიციო პროექტების პირობებს, ასევე რისკების, დანახარჯებისა და სარგებლის გადანაწილების გზებს. მემორანდუმებისა და შეთანხმებების დადების წესი (პროცედურები) კი, მაქსიმალურად უნდა გამოირიცხავდეს, ერთი მხრივ, ამა თუ იმ კომპანიისთვის განსაკუთრებული, გამორჩეული პირობების შექმნის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, ითვალისწინებდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის შერბილების და აღმოფხვრის ღონისძიებების გატარების ვალდებულებებსა და ასეთი ვალდებულებების ფინანსურ უზრუნველყოფას. წარმოდგენილ ნარკვევში განხილულია ჰესების მშენებლობის თაობაზე საქართველოს მთავრობასა და კომპანიებს შორის მემორანდუმების/შეთანხმებების დადების არსებული პრაქტიკა, პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების ფინანსური უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ნარკვევის მომზადებისას გაანალიზდა მოქმედი სამართლებრივი ბაზა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #214 დადგენილება და 2013-2014 წლებში დადებული შეთანხმებები; ასევე, გამოყენებულ იქნა 2012 წელს მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული 2007-2011 წლებში სხვადასხვა კომპანიასთან საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული მემორანდუმებისა და შეთანხმებების სამართლებრივი ანალიზი და 2013 წელს გამოცემული კვლევა „ენერჯო-პროექტები და კორუფცია საქართველოში“.

1. ჰესებთან დაკავშირებული რისკების ფინანსური უზრუნველყოფა

მემორანდუმებისა თუ ხელშეკრულებების ანალიზისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა, დაკავშირებულია ზიანის ანაზღაურების ფინანსური უზრუნველყოფის არარსებობასთან. სამწუხაროდ, არცერთ მემორანდუმსა თუ ხელშეკრულებაში პროექტის გამო ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და/ან მესამე პირთათვის მიყენებული შესაძლო ზიანი არ არის ფინანსურად უზრუნველყოფილი არც საბანკო გარანტიით, დაზღვევით ან სხვა მექანიზმის გამოყენებით, მაშინ როდესაც ჰესების სპეციფიკის გათვალისწინებით რისკები არსებობს.

ზოგადად მიჩნეულია, რომ ჰიდროელექტროსადგური ურთულესი ინფრასტრუქტურული ობიექტია, რომელიც მოიცავს რთული ინფრასტრუქტურული ობიექტების ერთობლიობას. შესაბამისად, მისი განხორციელება მრავალ, როგორც შიდა (ისეთი საფრთხეები რომლებიც შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ მშენებლობის პროცესში დაშვებული შეცდომებით), ისე გარე რისკებთან (მაგ. სტიქიური უბედურებები) არის დაკავშირებული³. ამასთან ჰესების მშენებლობის პროცესი საკმაოდ დიდხანს გრძელდება (როგორც წესი, რამდენიმე წელიწადი) და მოითხოვს საკმაოდ მსხვილ კაპიტალდაბანდებას, რაც დამატებით ფინანსურ რისკებს წარმოშობს და აუცილებელია, კომპანიის მხრიდან აღნიშნული საკითხის გათვალისწინებაც. შესაბამისად, კომპანიის მიერ პროექტთან დაკავშირებული რისკების მართვის ეფექტური სისტემა გულისხმობს ისეთი ინსტრუმენტის არსებობას, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ან საერთოდ თავიდან ააცილოს კომპანიას ფინანსური დანაკარგები პროექტის ადრეულ ეტაპზევე.

თუმცა რისკების მართვის ეფექტური სისტემის შექმნა თავის მხრივ, შეუძლებელია პროექტის ადრეულ სტადიაზე პროექტთან დაკავშირებული ყველა იმ რისკის იდენტიფიცირების და შეფასების გარეშე, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს შეუქცევადი და ფატალური ზემოქმედება, როგორც თავად პროექტზე, ისე საპროექტო არეალში არსებულ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. სწორედ ამ ეტაპზე უნდა იყოს კომპანიის მხრიდან გამოვლენილი და შეფასებული ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა მომავალში გაზარდოს ან შეამციროს უკვე გამოვლენილი რისკების რეალიზაციის ალბათობა (მაგ., კლიმატის ცვლილების ზემოქმედება პროექტზე). შესაბამისად, მიჩნეულია, რომ კომპანიის მიერ ამა თუ იმ ჰესის აშენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ პროექტთან დაკავშირებული ყველა რისკის გამოვლენისა და სათანადო შეფასების შემდეგ უნდა მოხდეს⁴.

თავის მხრივ, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს მემორანდუმებში ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების ინტეგრაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის გამო მიყენებული ზიანის შემთხვევაში ყველა დაზარალებული მხარის ინტერესების დაცვას.

2007-2012 წლებში გაფორმებულ მემორანდუმებსა თუ შეთანხმებებში (იხ. ცხრილი #1) წინასწარ იყო განსაზღვრული ამა თუ ჰესის ტექნიკური პარამეტრები, მშენებლობის დანებებისა და დასრულების თარიღები და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები, რომელიც ეფუძნებოდა ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ პოტენციური ჰესების ნუსხას და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა კომპანია პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესწავლას ნებართვის მოპოვების მიზნით. ეს კი, ძირშივე გამოირიცხავდა პროექტთან დაკავშირებული ყველა რისკის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

2013 წლის საქართველოს მთავრობის #214 დადგენილებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ურთიერთგაგების მემორანდუმის დადების წესი და მემორანდუმში აღარ არის ემპირიულად მოთხოვნილი ჰესის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები, რაც მისასაღმებელია. შესაბამისად, დაინტერესებულ კომპანიებს მიეცათ შესაძლებლობა, განხორციელონ დეტალური საპროექტო კვლევები. თუმცა არც აღნიშნული დადგენილებით არის განსაზღვრული მემორანდუმებში ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის არსებობა, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფდა ჰესებთან დაკავშირებული საფრთხეების და ამ საფრთხეებიდან გამომდინარე მიყენებული ზიანის გარკვეულწილად ანაზღაურებას.

³ Rejda, George E. Principals of Risk Management and Insurance. 12/e. 2013

⁴ Halpin, E. - "Risk Management for Dam Safety A Joint Approach by USBR, FERC, and USACE." Presented at the workshop on 'The Future of Dam Safety Decision Making: Combining Standards and Risk' at the USSD Annual Meeting, Nashville, Tennessee. April, 2009.

სამწესობრივად, მემორანდუმში არ არის ჩადებული ქმედითი ფინანსური ინსტრუმენტი რისკების ფინანსური უზრუნველყოფისთვის. ამასთან, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სახელმწიფო არ იყენებს მემორანდუმით გათვალისწინებულ იმ ფინანსურ ინსტრუმენტებსაც კი რაც ჩადებულია მემორანდუმებში.

2. საბანკო გარანტია ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად

2008 წელს მიღებული საქართველოს მთავრობის #107 დადგენილებით, ისევე როგორც 2013 წელს მიღებული #214 დადგენილებით, განსაზღვრულია საბანკო გარანტიის მოთხოვნის შესაძლებლობა დადგენილ ვადაში, ელექტროსადგურის მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ მიღების უზრუნველსაყოფად. ჰესებზე გაფორმებული მემორანდუმების ანალიზისას გამოვლენილ იქნა საბანკო გარანტიის გამოთხოვნის შერჩევითი მიდგომის მაგალითები.

გამოვლენილ პრობლემურ საკითხზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ ამ სფეროში გამოყენებული პრაქტიკა და კანონმდებლობის მოთხოვნები.

კვლევის პროცესში გაანალიზებულ იქნა 2007-2014 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა კომპანიასთან ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე, დადებული და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 52 ურთიერთგაგების მემორანდუმში და ხელშეკრულება (იხ. ცხრილი #1 და #2), მათში დღემდე შესული ყველა ცვლილება, საბანკო გარანტიების მოთხოვნისა და ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე საურავების, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენების თვალსაზრისით.

რა არის საბანკო გარანტია

საქართველოს საგადასახადო კოდექსში⁵ არსებული განმარტების მიხედვით, „საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადამღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით ვისრულებს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე“. ეს, ჩვენს შემთხვევაში, იმას ნიშნავს, რომ თუ კომპანია მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებას ვერ შეასრულებს, ანუ მაგ. თუ კომპანია დაარღვევს მემორანდუმით განსაზღვრულ ვადებს, ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადამღვევო ორგანიზაცია, საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე, უპირობოდ გადაურიცხავს მას გარანტიით განსაზღვრულ თანხას.

ჰესებზე გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმებში საბანკო გარანტია, როგორც ფინანსური ინსტრუმენტი, გამოყენებულია მხოლოდ როგორც ელექტროსადგურების მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ დადგენილ ვადებში მიღების ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება.

თავის მხრივ, იმისათვის, რომ კომპანიამ ბანკისგან მიიღოს საბანკო გარანტია, აღნიშნულმა კომპანიამაც უნდა დააკმაყოფილოს ბანკის მიერ განსაზღვრული გარკვეული კრიტერიუმები, მაგალითად, საქმიანობის გამოცდილება, მყარი ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საგადასახადო თუ საკრედიტო ისტორია და ა.შ.

ფაქტობრივად საბანკო გარანტიის არსებობა მემორანდუმებში საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, ერთი მხრივ, დარწმუნებული იყოს კომპანიის საიმედოობაში, ხოლო მეორე მხრივ, მიიღოს გარკვეული სარგებელი იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომპანია არ ან ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

საბანკო გარანტიის მოთხოვნის პრაქტიკა

საბანკო გარანტიის მოთხოვნის საკითხი ჰესებზე გაფორმებულ მემორანდუმებში 2013 წლის 21 აგვისტომდე რეგულირდებოდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილებით⁶. ამ რეგულაციის თანახმად, „დადგენილ ვადაში ელექტროსადგურის მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ მიღების უზრუნველსაყოფად“, კომპანიას უნდა წარედგინა ყოველი მეგავატისათვის 170 ათასი აშშ დოლარის ან 120 ათასი ევროს ოდენობის საბანკო გარანტია, ელექტროსადგურის ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით. ყურადსაღებია, რომ რეგულაციით დადგენილი ეს და სხვა წესები არ ვრცელდებოდა ყველა ელექტროსადგურზე. რეგულაციით დადგენილი იყო მთელი რიგი გამონაკლისები (6, 23, 23¹ და 24 პუნქტები) რომელიც კომპანიას არ ავალდებულებდა საბანკო გარანტიის მოთხოვნისთვის წარდგენას, მაგალითად, 100 და 100-ზე მეტი მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურების პროექტების შემთხვევაში.

#1 ცხრილში წარმოდგენილია ყველა იმ ჰესთან (24 ჰესი) დაკავშირებით დადებული მემორანდუმში თუ შეთანხმება, რომელიც 2013 წლის 21 აგვისტომდე გაფორმდა საქართველოს მთავრობასა და კომპანიებს შორის. ცხრილის პირველ, მეორე და ბოლო სვეტებში მოცემულია კომპანიის დასახელება, ჰესის/ჰესების სახელწოდებები, რომლის მშენებლობასაც გეგმავს წარმოდგენილი კომპანია და მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმების თარიღი. მესამე, მეოთხე და მეხუთე სვეტებში კი წარმოდგენილია ინფორმაცია ინვესტიციების სავარუდო ოდენობის, წარმოდგენილი საბანკო გარანტიისა და მისი ინვესტიციებთან მიმართებაში პროცენტული თანაფარდობა, და ბოლოს, ინფორმაცია მემორანდუმში/ხელშეკრულებაში საურავების განსაზღვრის თაობაზე.

⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი; მუხლი 879-890;

⁶ 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილებით არის დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამა“განახლებადი ენერჯია 2008“ -საქართველოს განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესი“;

როგორც ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, მთავრობის მიერ მოთხოვნილი საბანკო გარანტიების ოდენობა ვარირებს პროექტიდან პროექტამდე: უმეტეს შემთხვევაში, კომპანიებისთვის საერთოდ არ არის მოთხოვნილი საბანკო გარანტიების წარდგენა, არსებობენ ისეთი კომპანიები, რომლებმაც წარმოადგინეს საბანკო გარანტია არსებული რეგულაციის შესაბამისად, და კომპანიები რომლებმაც იმაზე ნაკლები ოდენობის საბანკო გარანტია წარადგინეს, ვიდრე ამას რეგულაცია ითვალისწინებს.

აღნიშნულის ნათელი მაგალითია შპს „ყაზბეგი ჰესი“. მასზე რომ რეგულაციით განსაზღვრული წესი გავრცელებულიყო, ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, 200 ათასი აშშ დოლარის ნაცვლად, მოუწევდა 850 ათასი აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენა.

მემორანდუმების ანალიზიდან სამწუხაროდ არ ჩანს რაიმე კანონზომიერება, რომელიც დაასაბუთებდა ასეთი განსხვავებული მიდგომის მიზეზებს, რაც წესით სამართალდამცავი ორგანოების გამოძიების საგანი უნდა გახდეს.

კვლევისას გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემური საკითხი - სახელმწიფოს მხრიდან საბანკო გარანტიის გამოთხოვის შესაძლებლობის არ გამოყენება, მიუხედავად კომპანიის მიერ მემორანდუმის პირობების დარღვევისა.

ბახვი 3 ჰესი - საბანკო გარანტიის გამოყენებისგან თავის არიდების მაგალითი

2012 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰიდრო ფაუნდს შორის“ გაფორმდა მემორანდუმი 6 მგვტ სიმძლავრის ბახვი 3 ჰესის მშენებლობის თაობაზე. როგორც მემორანდუმში შეტანილი ცვლილებებიდან⁷ ირკვევა კომპანიამ დაარღვია მემორანდუმით განსაზღვრული ვადები, რის გამოც, დღის წესრიგში დადგა კომპანიის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის (1,020,000 აშშ დოლარი) სრული მოთხოვნის აუცილებლობა. 2012 წლის 19 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ გამოსცა #1939 განკარგულება, საბანკო გარანტიის საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ გამოთხოვის თაობაზე.

თუმცა ხსენებული განკარგულების გამოცემიდან მალევე კომპანიამ მიწერა წერილი ენერჯეტიკის სამინისტროს, და მოითხოვა, არ განხორციელებულიყო საგარანტიო თანხის გამოთხოვნა, არამედ მომხდარიყო ჰესის მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადის გადაწვევა.⁸ სანაცვლოდ კომპანია იღებდა 1.166.000 აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულებას, ნაცვლად მემორანდუმით განსაზღვრული 1,020,000 აშშ დოლარისა, ვინაიდან პროექტის ფარგლებში მოხდა ჰესის საპროექტო სიმძლავრის 9.8 მგვტ-მდე გაზრდა.

შედეგად, კომპანიის აღნიშნული თხოვნა სრულად დაკმაყოფილდა⁹ და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 ნოემბრის #1939 განკარგულება ძალადაკარგულად გამოცხადდა.

ჩვენი აზრით, აღნიშნული მაგალითი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქვეყანაში არსებობენ კომპანიები, რომლებიც სარგებლობენ პრივილეგიებით და მიუხედავად იმისა, არღვევენ, თუ არა მემორანდუმის პირობებს, მათზე არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესი. ამასთან მიგვაჩნია, რომ მსგავსი მაგალითები უნდა იყოს შესაბამისი ორგანოების გამოძიების საგანი, ვინაიდან შეიცავს კორუფციული გარიგებების ნიშნებს და არათანაბარ პირობებში აყენებს საქართველოში მოქმედ სხვა კომპანიებს.

საქართველოს მთავრობის #214 დადგენილება - მემორანდუმების დადების ახალი წესი

2013 წლის 21 აგვისტოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა #214 დადგენილება, რომელმაც ჩაანაცვლა მანამდე არსებული #107 დადგენილება¹⁰. ახალი დადგენილების მიხედვით, ჰესებით დაინტერესებულ კომპანიებისთვის სრულად შეიცვალა საბანკო გარანტიის განსაზღვრისა და მოთხოვნის წესი ურთიერთგაგების მემორანდუმში, კერძოდ, მემორანდუმზე იქნა საბანკო გარანტიის მოთხოვნის ორფაზიანი მიდგომა: წინასამშენებლო და სამშენებლო გარანტია.

დაინტერესებული კომპანია ვალდებულია, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობისთვის წარმოდგენილ განაცხადს, ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების და მემორანდუმის პირობების მიხედვით, თან დაურთოს წინასამშენებლო გარანტია ყოველი მეგავატისთვის 5000 აშშ დოლარის ან ექვივალენტი ევროს, ოდენობით იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ელექტროსადგური შედის პოტენციური ჰესების ნუსხაში. თუ ელექტროსადგური ამ ნუსხაში არ შედის, მასზე აღნიშნული წესი არ ვრცელდება. ასეთ შემთხვევაში ელექტროსადგურების მშენებლობის, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების სამინისტროსთვის წარდგენისა და განხილვის წესს და პირობებს ამტკიცებს სამინისტრო შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (მუხლი #8, 8¹ და 9).

⁷ 2013 წლის 27 თებერვალს საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰიდრო ფაუნდს შორის“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში შევიდა ცვლილებები;

⁸ 2013 წლის 1 სექტემბერი;

⁹ 2013 წლის 29 იანვარს გამოცემულ იქნა საქართველოს მთავრობის #130 განკარგულება;

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #214 დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით, „საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილების შესაბამისად, და/ან მის საფუძველზე საქართველოს მთავრობასთან დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმებთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდეს ამავე დადგენილების შესაბამისად.“

მემორანდუმის პირობების შესრულების და სამშენებლო ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად კი, კომპანია ვალდებულია საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარადგინოს საბანკო გარანტია 100 ათასი აშშ დოლარის ოდენობით მეგავატზე - 100 მეგავატის სიმძლავრის ჩათვლით სადგურებისთვის და 50 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 100 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის სადგურებისთვის.

როგორც #2 ცხრილიდან ჩანს, ახალი წესის ამოქმედების შემდეგ, სულ გაფორმდა ან შესაძლოა გაფორმდეს (არსებობს საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებები) 30 ურთიერთგაგების მემორანდუმი.

წინა რეგულაციის მოქმედების პერიოდში გაფორმებული მემორანდუმებისგან განსხვავებით, უნდა აღინიშნოს, რომ ახლადგაფორმებულ მემორანდუმებში ჯერჯერობით არ შეიმჩნევა შერჩევითი მიდგომის გამოყენების შემთხვევები, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ობიექტებზე ჯერ კიდევ შესწავლები მიმდინარეობს, ნაადრევია დასკვნების გაკეთება.

3. საურავები ვალდებულებების შესრულებლობისთვის

საბანკო გარანტიების მოთხოვნის მსგავსად, პროექტიდან პროექტამდე ვარიანტებს ვალდებულებების შესრულებლობისთვის საურავების დაწესების პრაქტიკაც. როგორც #1 ცხრილიდან ჩანს, #107 დადგენილების მოქმედების პერიოდში გაფორმებული 24 მემორანდუმი/ხელშეკრულებიდან მხოლოდ 6 მემორანდუმი/ხელშეკრულებაა ისეთი, სადაც განსაზღვრული იყო ფულადი საურავი ვალდებულებების შესრულებლობისთვის. აღნიშნული 6 პროექტიდან მხოლოდ სამია ისეთი მემორანდუმი, რომელიც გამყარებული იყო შესაბამისი საბანკო გარანტიით, კერძოდ, სს „ოპტიმუმ ენერჯი ურეტიმ“, Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co, Inc და შპს „აჭარ ენერჯი 2007“. ამ მემორანდუმებით, ნებართვების მოპოვების, მშენებლობის დაწყებისა და დასრულების და ექსპლუატაციაში შეყვანის ვალდებულებების დროულად შესრულებლობისას, კომპანიებისთვის დაწესებულია საკმაოდ მკაცრი საურავები, რომელიც მერყეობს 1000 აშშ დოლარიდან 45 ათას აშშ დოლარამდე; ეს მაშინ, როდესაც სხვა მემორანდუმებში საერთოდ არ არის დადგენილი მსგავსი საწესები, რაც აშკარად მიუთითებს კომპანიების მიმართ შერჩევითი მიდგომის გამოყენებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ შემდგომში, #214 დადგენილებით განსაზღვრული საურავების დაწესების წესი გავრცელდა კიდევ სამ მემორანდუმზე. ეს მემორანდუმებია: (1) შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანისთან“ ხელმოწერილი მემორანდუმი 5 მგვტ-იანი კინტირა ჰესის მშენებლობის თაობაზე; (2) სს „AE-SGI Energy I“-სთან გაფორმებული მემორანდუმი 1.9 მგვტ ნაბელაჟი ჰესთან დაკავშირებით და (3) „KGM Iletisim Ve HISM. Lojistik INS. Ve Turizm TIC.LTD.STI“-სთან გაფორმებული მემორანდუმი ბახვი 1 და 2 ჰესებზე¹¹. გაუგებარია, რატომ არ მოხდა მსგავსი მიდგომის გავრცელება სხვა მემორანდუმებზე.

გარდა ამისა, საურავებია გათვალისწინებული კიდევ სამი დიდი ჰესის მშენებლობის შემთხვევაში ხელშეკრულებებით: შპს „ტრანსელექტრიკა ლიმიტედთან“, შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასთან“ და შპს „დარიალი ენერჯისთან“. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეთანხმებებში ვალდებულებების შესრულებლობისთვის საურავები განსაზღვრულია, ბუნდოვანია პრაქტიკაში მათი გამოყენების საკითხი, ვინაიდან აღნიშნული საურავები არ არის ფინანსურად გამყარებული საბანკო გარანტიებით.

ამასთან გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემური საკითხი, რომელიც უკავშირდება საურავების გამოყენებისას შერჩევითი მიდგომის გამოყენების პრაქტიკას, რისი მაგალითებია შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასთან“ და შპს „ენერჯიასთან“ დაკავშირებული შემთხვევები.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასთვის“ საურავების პატიების თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 16 აგვისტოს #16/08/02 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2013 წლის 26 აგვისტოს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მყიდველს საკუთრებაში გადაეცა შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და იკისრა საქართველოს მთავრობას, სს „ქლინ ენერჯი ინვესტისა“ და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შუახევიჰესთან დაკავშირებული ვალდებულებები.

2011 წლის 10 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების დანართი #4-ის თანახმად, მშენებლობის ნებართვის აღების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 7 ოქტომბერი, თუმცა კომპანიამ ნებართვა 2013 წლის 31 ივლისს, ანუ 297 დღიანი ვადაგადაცილებით მიიღო. მიზეზად მიწის შესყიდვების პროცესის კომპლექსურობა და სარეგისტრაციო წარმოებების დაყოვნება დასახელდა. აღნიშნული ვადაგადაცილების გამო კომპანიას დაეკისრა 148,500 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა.

2014 წლის 15 იანვარს სახელმწიფო ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელმა კომისიამ განიხილა (სხდომის ოქმი #11) აღნიშნული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ წინადადება, რომელსაც აღნიშნული თხოვნით კომპანიამ შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიმართა. კომისიამ განიხილა სააგენტოს წინადადება და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება შპს „აჭარისწყალი

¹¹ 2014 წლის 24 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებით გაუქმდა <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Shetankhmeba%2024072014%20879%20geo.pdf>

ჯორჯიასთვის“ დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნულ სხდომაზე საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ¹² სრულად გაიზიარა კომპანიის პოზიცია.

შპს „ენერჯისთვის“ საურავების პატიების თაობაზე

შერჩევითი მიდგომის გამოყენების კიდევ ერთი მაგალითია შპს „ენერჯია“¹³, და მასთან დაკავშირებული 5 მგვტ სიმძლავრის შილდას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესი.

2012 წლის სექტემბერში, პროექტის საჭიროებისათვის შპს „ენერჯიას“, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საკუთრებაში გადაეცა გარკვეული მიწის ნაკვეთები, საგურამო-წითელი ხიდის 972 მეტრი სიგრძის მაგისტრალური გამსადენი, ასევე უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 99 წლის ვადით - მდინარე ჩელთის კალაპოტის მიწები.

შპს „ენერჯიამ“ აღნიშნული ობიექტის მშენებლობა დაასრულა 2013 წლის 12 აგვისტოს, ხოლო 2013 წლის 5 დეკემბერს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ მიმართა თხოვნით შპს „ენერჯიასთვის“ დაკისრებული პირგასამტეხლოს სრულად პატიების თაობაზე, რაც გამონვეული იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების¹⁴ პირობის დარღვევით. ნასყიდობის ხელშეკრულებით კომპანია ვალდებული იყო ჰქონოდა ექსპლუატაციაში მიღებიდან 30 დღეში წარმოედგინა აუდიტორული დასკვნა. აღნიშნული ვადის დარღვევის გამო კი კომპანიის დაეკისრა 68,000 ლარის ოდენობის პირგასამტეხლო.

პასუხად, 2014 წლის 10 აპრილს გამოიცა საქართველოს მთავრობის #659 განკარგულება „შპს „ენერჯის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ დონისძიებათა განხორციელების თაობაზე“, რომლის მიხედვით, შპს „ენერჯია“ გათავისუფლდა დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან.

როგორც საქართველოს მთავრობის #659 განკარგულების განმარტებით ბარათიდან ირკვევა, პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე შპს „ენერჯიას“, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, შუამდგომლობა განიხილა სახელმწიფო ქონების განკარგვის მიზნით, დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელმა კომისიამ¹⁵ და მიიღო გადაწყვეტილება შპს „ენერჯის“ თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული კომისიის სხდომაზე კომპანიის თხოვნა, ისევე როგორც „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შემთხვევაში, სრულად გაიზიარა ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილემ და სხდომაზე გამოთქვა თანხმობა კომპანიისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ, ვინაიდან კომპანიის მიერ სრულად იყო შესრულებული მემორანდუმით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

განსაკუთრებით საინტერესოა შპს „ენერჯის“ თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე განმარტებით ბარათში წარმოდგენილი ასსნა-განმარტება, რომ „პირგასამტეხლო არ წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმილ შემოსავალს, ვინაიდან შპს „ენერჯის“ მიერ ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, სახელმწიფოს არ წარმოეშობოდა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, შესაბამისად, წინამდებარე განკარგულების გამოცემას შედეგად არ მოჰყვება სახელმწიფოს შემოსავლის შემცირება.“

გემოაღნიშნული მაგალითებიდან ნათელია, რომ საქმე გვაქვს კომპანიების მიმართ შერჩევითი მიდგომის გამოყენებასთან, რაც შესაბამისი ორგანოების გამოძიების საგანი უნდა გახდეს. სხვა შემთხვევაში საერთოდ გაუგებარია, რა დანიშნულება აქვს მემორანდუმებში განსაზღვრულ საურავების, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის დარიცხვის წესს, თუ მისი გამოყენების საჭიროების დადგომის შემთხვევაში კომპანიების მიმართ ეს ინსტრუმენტი არ იქნება გამოყენებული. მსგავსი მიდგომა ქმნის კორუფციული გარიგებების არსებობის ნოყიერ ნიადაგს ენერჯეტიკის სექტორში.

¹² საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს 2013 წლის 28 ნოემბრის #45238/04 წერილი;

¹³ შპს „ენერჯია“ კი 2010 წლის სექტემბერში დაფუძნდა, რომლის 70% წილის მფლობელია რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მეგლუდ ბლიაძე, ხოლო 30%-ს ფლობს შპს „ფერი“;

¹⁴ 2012 წლის 24 აგვისტოსა და 2012 წლის 11 ოქტომბერი;

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N67 დადგენილების საფუძველზე შექმნილი კომისია -2014 წლის 15 იანვრის სხდომის ოქმი N11.

დასკვნა

კვლევისას გამოიკვეთა, ისეთი პრობლემური საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ერთი მხრივ, მემორანდუმებში ჰესების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკების შეფასებისა და მათი თავიდან აცილების, შერბილების და აღმოფხვრის ვალდებულებების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებთან, ხოლო მეორეს მხრივ, მემორანდუმების გაფორმებისას შერჩევითი მიდგომის გამოყენების საკითხებთან.

სამწუხაროდ, კვლევისას გამოიკვეთა, რომ მემორანდუმების გაფორმების არც ძველი (#107 დადგენილება) და არც ახალი წესი (#214 დადგენილება) არ არეგულირებს პროექტის შესაძლო ზიანის ანაზღაურების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებს, და შესაბამისად მემორანდუმებსა თუ ხელშეკრულებაში აღნიშნული საკითხები საერთოდ არ არის ნახსენები.

თუმცა მემორანდუმებში არ არის რეგულირებული არათუ ზიანის ანაზღაურების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები, არამედ სახელმწიფო არ იყენებს იმ ფინანსურ ინსტრუმენტებსაც კი, რაც ჩადებულია მემორანდუმებში, საბანკო გარანტიის გამოთხოვისა და საურავების დაწესების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, კვლევისას გამოიკვეთა კომპანიების მიმართ შერჩევითი მიდგომის გამოყენების შემთხვევები.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ წინა რეგულაციის მოქმედების პერიოდში გაფორმებული მემორანდუმებისგან განსხვავებით, ახლადგაფორმებულ მემორანდუმებში ჯერჯერობით არ შეიმჩნევა შერჩევითი მიდგომის გამოყენების შემთხვევები. თუმცა გასათვალისწინებელია რომ აღნიშნული ჰესები ჯერ კიდევ შესწავლის ეტაპზეა.

ცხრილი 1: 2007-2012 წლებში საქართველოს მთავრობასა და კომპანიებს შორის ჰიდროელექტროსადგურების თაობაზე დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და ხელშეკრულებები

#	კომპანია	ელექტროსადგური და დადგმული სიმძლავრე მგვტ	ინვესტიციების საგარეულო მოცულობა აშშ დოლარი	საბანკო გარანტიის ოდენობა და პროცენტული თანაფარდობა ინვესტიციის საგარეულო მოცულობასთან	საურავები	ხელმოწერის თარიღი
1.	შპს „ჯორჯიან ურბან ენერჯი“*	ფარავნის ჰესი (85)	100.000.000 ¹⁶	არ არის მოთხოვნილი N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 14,450,000	არ არის მოთხოვნილი ¹⁷	29 მაისი, 2007
2.	შპს „ენერო-არავი“	ჰესების კასკადი მდ. თეთრი არავის ხეობაში, სოფ. ზემო მლეთის ჩრდილოეთით (8)	არ არის დადგენილი ¹⁸	არ არის მოთხოვნილი ¹⁹ N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 1,360,000	არ არის მოთხოვნილი	2007 წ.; ზუსტი თარიღი უცნობია
3.	შპს „აჭარ ენერჯი 2007“	კინტრიშის ჰესი (7.5) ქობულეთის I ჰესი (13.30) ქობულეთის II ჰესი (14.30) კირნათი ჰესი (14.40) ხელვაჩაური ჰესი (22.40) ჭოროხის I - II ჰესები (48.00)	167.860.000	5.035.800 3% N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 0	არ არის მოთხოვნილი	28 თებერვალი, 2008
4.	სს „კაკუბაჰეს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“	მტკვარი ჰესი (28)	50.000.000	4.760.000 9% N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 4,760,000	არ არის მოთხოვნილი	24 ნოემბერი, 2008
5.	შპს „ბახვი ჰიდრო ფაუერსი“	ბახვი 3 ჰესი (6 ²⁰)	9.700.000	1.020.000²¹ N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 1,020,000	არ არის მოთხოვნილი	14 მაისი, 2009
6.	შპს „მოტი ჰიდრო“	ზოტის ჰესი (36) ყვირილა ჰესი (5.20)	78.000.000-დან 92.000.000-მდე აშშ დოლარი	არ არის მოთხოვნილი N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 7,004,000	არ არის მოთხოვნილი	28 მაისი, 2009
7.	შპს „რუსმეტალი“	ლუხუნი 1 (10.8) ლუხუნი 2 (12) ლუხუნი 3 (7.5)	39.000.000-დან 51.000.000-მდე აშშ დოლარი	არ არის მოთხოვნილი N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 5,151,000	არ არის მოთხოვნილი	27 ივლისი, 2009

¹⁶ <http://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/paravani-hpp.html>;

¹⁷ თავდაპირველ მემორანდუმში შესული იქნა ორი ცვლილება 2009 წლის 10 აპრილს და 2013 წლის 18 თებერვალს; ბოლო ცვლილებით მემორანდუმს დაემატა საურავების ქვეთავი ჰესის მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადის დარღვევის შემთხვევაში, თუმცა საბანკო გარანტია არ იქნა მოთხოვნილი;

¹⁸ დადგინდა მემორანდუმის დადებიდან 4 წლის შემდეგ, 2011 წლის 15 სექტემბერს მემორანდუმში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ. ინვესტიციის საგარეულო მოცულობად განისაზღვრა 8 მილიონი აშშ დოლარი;

¹⁹ მემორანდუმში 2011 წლის 15 სექტემბერს შეტანილი ცვლილებებით, კომპანიას დაევალა **1 მილიონი აშშ დოლარის** ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენა, რაც ინვესტიციების საგარეულო მოცულობის 12.5%-ს შეადგენს; N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში მას უნდა წარმოედგინა 1,360,000 აშშ დოლარი;

²⁰ 2012 წლის 27 აგვისტოს მემორანდუმში შევიდა ცვლილება და ბახვი 3 ჰესის დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 6 მგვტ-დან 9.8 მგვტ-მდე;

²¹ 2013 წლის 27 თებერვალს შეტანილი ცვლილებებით საბანკო გარანტიის თანხა გაიზარდა 1.666.000 აშშ დოლარამდე, როგორც ეგ განსაზღვრულია N107 დადგენილებაში;

8 | **საჯარო აოლიციის ნარკვევი**
ნოემბერი 2014

8.	შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯია“	ხობიპესი 2 (25) ²² ხობიპესი 3 (11)	64.000.000 ²³	არ არის მოთხოვნილი N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 6,120,000	არ არის მოთხოვნილი	15 სექტემბერი, 2009
9.	ნუროლი (Nurol Energy Production and Marketing Inc.) კეპკო (Korea Electric Power Corporation) სკ ენდსი (SK Engineering and Construction Co. Ltd)	ჟონეთი პესი (100) ნამახვანი პესი (250) ტვიში პესი (100)	1.000.000.000	არ არის მოთხოვნილი	არ არის მოთხოვნილი	8 დეკემბერი, 2009
10.	შპს „ჯორჯიან რეილვეი ქონსტრაქშენ“	ნენსკრა პესი	არ არის დადგენილი	არ არის მოთხოვნილი	არ არის მოთხოვნილი	11 ივნისი, 2010
11.	Kolin Construction, Tourism, Industry and Trading Co, Inc	ნობულევი პესი (25.70) ცხომრას პესი (32.00) ერჯია პესი (27.00) ლეჩხაბა პესი (21)	150.000.000	წინასამშენებლო პერიოდისთვის - 2.000.000 1% მშენებლობის პერიოდისთვის - 10.000.000 7% გათვალისწინებულია დამატებით საბანკო გარანტიის წარდგენის შესაძლებლობა, მაგრამ ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 20 მლნ აშშ დოლარს N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 0 აშშ დოლარი	გათვალისწინებულია	10 ნოემბერი, 2010
12.	Unal Insaat Ve Ticaret AS	ხუნევი პესი (11)	19.780.000	1.921.000 10% N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 1,870,000 აშშ დოლარი	არ არის მოთხოვნილი	28 დეკემბერი, 2010
13.	სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“	ალპანა პესი (71) სადმელის პესი (97)	305.000.000	არ არის მოთხოვნილი	არ არის მოთხოვნილი	15 თებერვალი, 2011
14.	სს „ოპტიმუმ ენერჯი ურჯიმ“	არაკალი პესი (11) აბული პესი (20) ახალქალაქი პესი (15) ²⁴	90.000,000 ²⁵	9,080,000²⁶ 10% N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 7,820,000	გათვალისწინებულია	19 თებერვალი, 2011
15.	შპს „ტრანსელექტრიკა“	ხედონპესი (702)	1.200.000	არ არის მოთხოვნილი	გათვალისწინებულია	28 აპრილი, 2011
16.	შპს „ენერჯია“	ლარსი პესი (20) ²⁷	20.000.000	3.400.000²⁸ 17% N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - -340,000	არ არის გათვალისწინებული	17 მაისი, 2011
17.	შპს „დარიალი ენერჯი“	დარიალი პესი (109) ²⁹	135.000.000 ³⁰	არ არის მოთხოვნილი	გათვალისწინებულია³¹	19 მაისი, 2011

²² მემორანდუმში 2010 წლის 30 აპრილს და 2014 წლის 11 ივლისს შეტანილი ცვლილებებით შეიცვალა პესების სახელები და დადგმული სიმძლავრეები: ხობიპესი 1 (60) და ხობიპესი 2 (55);

²³ მემორანდუმში 2010 წლის 30 აპრილს და 2014 წლის 11 ივლისს შეტანილი ცვლილებებით ინვესტიციების სავარაუდო მოცულობა გაიზარდა და განისაზღვრა 185.000.000 აშშ დოლარის ოდენობით;

²⁴ 2014 წლის 12 მარტს მემორანდუმში შეტანილი ცვლილებებით ახალქალაქი პესის სქემა პროექტიდან ამოვარდა, ხოლო არაკალი პესის დადგმული სიმძლავრე შემცირდა და გახდა - 8.88, ხოლო აბული პესის 22.20 მგვტ;

²⁵ 2014 წლის 12 მარტს მემორანდუმში შეტანილი ცვლილებებით ინვესტიციების ოდენობა შემცირდა 60,220,000 აშშ დოლარამდე;

²⁶ 2014 წლის 12 მარტს მემორანდუმში შეტანილი ცვლილებებით შემცირდა საბანკო გარანტიის ოდენობა 3.108.000 აშშ დოლარამდე; N107 დადგენილებით, 5,270,000 აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო;

²⁷ 2011 წლის 1 დეკემბერს მემორანდუმში შეტანილი ცვლილებების მიხედვით პესის სიმძლავრე განისაზღვრა 19 მგვტ-ით;

²⁸ 2012 წლის 21 დეკემბერს მემორანდუმში შესული ცვლილებებით ირკვევა, რომ 2011 წლის მაისში მიღწეული იქნა შეთანხმება საბანკო გარანტიის შემცირების თაობაზე, რომელიც განისაზღვრა 2.034.600 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილებებით კი კომპანიამ კიდევ ერთხელ მოითხოვა საბანკო გარანტიის შემცირება 1.430.000 აშშ დოლარამდე საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის N107 დადგენილების 7¹ პუნქტის შესაბამისად, რაც კიდევ ერთხელ დაკმაყოფილდა. 2013 წლის 2 მაისის ცვლილებებით კი საბანკო გარანტია კიდევ ერთხელ შემცირდა და შეადგინა 575.000 აშშ დოლარი.

²⁹ 2012 წლის 13 თებერვალს განხორციელებული ცვლილებებით, პროექტის დადგმული სიმძლავრე განისაზღვრა 108 მგვტ-ით;

³⁰ 2014 წლის 11 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით, ინვესტიციების სავარაუდო მოცულობა განისაზღვრა 105 მილიონი აშშ დოლარით, თუმცა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 123 მილიონი აშშ დოლარს;

³¹ 2014 წლის 11 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით, კომპანიისთვის დაკისრებული საურავების ოდენობა არცერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 600,000 აშშ დოლარს;

18.	სს „ქლინ ენერჯი ინვესტი“ ³²	სხალთა ჰესი (9.8) შუახევი ჰესი (175) კორუმხეთი ჰესი (150) ხერთვისი ჰესი (65)	417.000.000 ³³	არ არის ცნობილი	გათვალისწინებულია	11 ივნისი 2011
19.	შპს „აჭარ ენერჯი 2007“	ხელვაჩაური 1 ჰესი (36.3) ³⁴ ხელვაჩაური 2 ჰესი (34.3) კირნათი ჰესი (34.6)	196.032.494 ³⁵	5.900.000 ³⁶ 3% N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 0 აშშ დოლარი	გათვალისწინებულია	1 ივლისი, 2011
20.	შპს „ენერჯია“	შილდა ჰესი (5)	5.500,000	არ არის მოთხოვნილი N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 850,000	არ არის გათვალისწინებული	13 ივლისი, 2012
21.	შპს „ყაბზევი ჰესი“	ყაბზევი ჰესი (5)	3.000.000	არ არის მოთხოვნილი ³⁷ N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 850,000	არ არის გათვალისწინებული ³⁸	13 ივლისი, 2012
22.	KGM İletişim Ve HİSM. Lojistik İNS. Ve Turizm TIC.LTD.STİ ³⁹	ბახვი 1 ჰესი (15) ბახვი 2 ჰესი (20) ⁴⁰	77.000.000 ⁴¹	6.800.000 ⁴² 9% N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 5,950,000	არ არის გათვალისწინებული ⁴³	27 ოქტომბერი, 2011
23.	სს „ალიანს ენერჯი“ ⁴⁴	ნაბეღლავი ჰესი (1.9)	2.800.000	340.000 12% N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 323,000	არ არის გათვალისწინებული ⁴⁵	18 ნოემბერი, 2011
24.	შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“	კინტრიშა ჰესი (5 მგვტ)	8.000.000	600.000 ვერო 10% N107 დადგენილების გავრცელების შემთხვევაში - 850,000 აშშ დოლარი	არ არის გათვალისწინებული ⁴⁶	23 იანვარი, 2012

³² აღნიშნული შეთანხმება შეთანხმება შეიცავს კონფიდენციალურ მუხლებს; არის კონფიდენციალური, თუმცა სამოქალაქო ზენოლის შედეგად მოხდა მისი ნაწილობრივი განსაჯაროება. სამწუხაროდ პროექტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მუხლები რჩება კონფიდენციალურად;

³³ <http://www.ebrd.com/english/pages/project/psd/2014/45335.shtml>

³⁴ 2013 წლის 8 ივლისის და 2014 წლის 12 მარტის მემორანდუმში განხორციელებული ცვლილებებით შეიცვალა ხელვაჩაური 1, ხელვაჩაური 2, და კირნათი ჰესების დადგმული სიმძლავრეები და შეადგინა შესაბამისად, 47,4 მგვტ, 28,9 მგვტ, 51.2 მგვტ;

³⁵ 2014 წლის 12 მარტის მემორანდუმში განხორციელებული ცვლილებებით, ინვესტიციების სავარაუდო ოდენობად განისაზღვრა 229,459,362 აშშ დოლარი;

³⁶ 2014 წლის 12 მარტის მემორანდუმში განხორციელებული ცვლილებებით, გაიზარდა საბანკო გარანტია 6,400,000 აშშ დოლარამდე და ამასთან კომპანიას განესაზღვრა დამატებითი ვალდებულებები როგორცაა, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, ახალი ხიდის მშენებლობა და ის გახდა პასუხისმგებელი პროექტში განხორციელებული ცვლილებებით გამოწვეული ყველა წარმოქმნილი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარების, რომელსაც მოითხოვს სახელმწიფო და იქნება მეცნიერულად და ტექნიკურად დასაბუთებული;

³⁷ საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულებას ითვალისწინებს მდ. ბროლისწყალზე უკვე არსებული, მოქმედი მცირე ჰესის ნასყიდობის ხელშეკრულება - 200,000 აშშ დოლარის ოდენობით;

³⁸ საურავების გამოყენების საკითხს ითვალისწინებს მდ. ბროლისწყალზე უკვე არსებული, მოქმედი მცირე ჰესის ნასყიდობის ხელშეკრულება - 500 ლარი ყოველვადებადაცვლილებულ დღეზე;

³⁹ 2014 წლის 24 ივლისის მემორანდუმი გაუქმდა, ხოლო მთავრობამ თანხმობა განაცხადა მოთხოვნილი საბანკო გარანტიის გაუქმების თაობაზე;

⁴⁰ 2014 წლის 29 იანვარს განხორციელებული ცვლილებებით, გაიზარდა ჰესების დადგმული სიმძლავრე 45 მგვტ-მდე;

⁴¹ 2014 წლის 29 იანვარს განხორციელებული ცვლილებებით სავარაუდო ინვესტიციების ოდენობა გაიზარდა და შეადგინა 85 მილიონი აშშ დოლარი;

⁴² 2014 წლის 29 იანვარს განხორციელებული ცვლილებებით სავარაუდო თანხა გაიზარდა 7,650,000 აშშ დოლარამდე;

⁴³ 2014 წლის 29 იანვარს მემორანდუმში განხორციელებული ცვლილებებით, მემორანდუმში განისაზღვრა საურავების დარიცხვის ისეთივე წესი რომელიც მოთხოვნილია 2013 წლის 21 აგვისტოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული N214 დადგენილებით, ანუ სავარაუდო თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

⁴⁴ 2012 წლის 19 ივნისის მემორანდუმში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, სს „ალიანს ენერჯი“ ჩაანაცვლა სს „AE-SGI Energy I“-მ;

⁴⁵ 2013 წლის 6 აგვისტოს მემორანდუმში განხორციელებული ცვლილებებით, მემორანდუმში განისაზღვრა საურავების დარიცხვის ისეთივე წესი რომელიც მოთხოვნილია 2013 წლის 21 აგვისტოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული N214 დადგენილებით, ანუ სავარაუდო თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

⁴⁶ 2013 წლის 26 ივლისის მემორანდუმში განხორციელებული ცვლილებებით, მემორანდუმში განისაზღვრა საურავების დარიცხვის ისეთივე წესი რომელიც მოთხოვნილია 2013 წლის 21 აგვისტოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული N214 დადგენილებით, ანუ სავარაუდო თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ცხრილი 2: 2013 წლის 18 აპრილის საქართველოს მთავრობის N214 დადგენილების ფარგლებში ხელმოწერილი მემორანდუმები

#	კომპანია	პეისის დასახელება	დადგენილი სიმძლავრე	წინასამშენებლო საბანკო გარანტია	საბანკო გარანტია	ხელმოწერის თარიღი
1.	შპს „ჰიდროლენა“; შპს „გეოენერჯი“; შპს „ჰიდროლოჯია“; შპს „სთორი ფაუერი“	ანმეტა პეისი დებედა პეისი ფშაველა პეისი	9.1 მგვტ 2.5 მგვტ 1.9 მგვტ	-	-	11 სექტემბერი 2013 ცვლილება: 29 აპრილი, 2014
2.	შპს „აუსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტ“	ლახამი პეისი ცხვანდირი პეისი ოკრილი პეისი ლარაკვაკვა პეისი	-	-	-	12 სექტემბერი, 2013
3.	შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერი“	ძირულა პეისი აკავრეთა პეისი ლოდნარი პეისი	-	-	-	22 ოქტომბერი, 2013
4.	შპს „მტკვარი ენერჯია“	ქვიშხეთი პეისი, ხაშური პეისი; ოსიაური პეისი, გომი პეისი, ახალსოფელი პეისი; ქარელი პეისი, ურბნისი პეისი, სკრა პეისი, უფლისციხე პეისი, გრაკალი პეისი, კასპი პეისი, ქსანი პეისი, ფონიჭალა 3 და 4 პეისები, ნაგები პეისი, რუსთავი პეისი	-	-	-	23 ოქტომბერს, 2013
5.	შპს „როიალ ჰასკონინგ DHV“	ლეჩეხა პეისი ერჯია პეისი ცხიმრა პეისი ნობულევი პეისი	18.4 მგვტ 29.1 მგვტ 27.6 მგვტ 42 მგვტ	-	-	30 ოქტომბერი, 2013
6.	შპს „ბუგატო ენერჯი“	მეტეხი 1 პეისი მეტეხი 2 პეისი	-	-	-	7 თებერვალი, 2014
7.	შპს „ჰიდროლენა“	კასლეთი 1 პეისი კასლეთი 2 პეისი	8.1 მგვტ 8.1 მგვტ	40,500 45,000	810,000 810,000	17 თებერვალი, 2014
8.	შპს „ჰიდროლენა“ და შპს „დარჩი“	დარჩი-ორმელეთი პეისი	16.9 მგვტ	84,500	1,690,000	17 თებერვალი, 2014
9.	სს „აქსა ენერჯი ურეტიმ“	შესაძლო ენერგოპროექტების იდენტიფიცირებისა და შესწავლის თაობაზე	-	-	-	24 თებერვალი, 2014
10.	სს „სკინესტ ჰაიდრო“	100 მგვტ-მდე ენერგოპროექტების განხორციელების თაობაზე	-	-	-	28 თებერვალი, 2014
11.	სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“	სურები პეისი ვანი პეისი ბუკისციხე პეისი სუფსა მცირე პეისი ბარამიძე პეისი	-	-	-	12 მარტი 2014
12.	შპს „თრიალეთი 2013“	თრიალეთი პეისი	-	-	-	16 მაისი, 2014
13.	შპს „მარდიპაუსი“	ხონისწყალი პეისი 1 ხონისწყალი პეისი 2 ხონისწყალი პეისი 3	-	-	-	19 მაისი, 2014
14.	შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“	ზედა ბუჯა პეისი	-	-	-	16 ივნისი, 2014
15.	შპს „ეგ“	ბუჯაპეისი 1 ბუჯაპეისი 2 ბუჯაპეისი 3	-	-	-	16 ივნისი, 2014
16.	შპს „ფშავი ჰიდრო“	სკურდილი პეისი	-	-	-	19 ივნისი, 2014
17.	შპს „გოტა 21“	სტორი 1 პეისი	-	70,000	-	3 ივლისი, 2014
18.	სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“	ლოპოტა 1 პეისი	-	-	-	17 ივლისი, 2014
19.	სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“	ართანას პეისი	-	-	-	17 ივლისი, 2014

20.	შპს „მაგახელა ჰესი 1“	მაგახელა 1 ჰესი მაგახელა 2 ჰესი	23 მგვტ 19 მგვტ	-	-	24 ივლისი, 2014
21.	შპს „არ ბი აი“	ცხენისწყალზე ჰესების კასკადი				1 აგვისტო, 2014 საქართველოს მთავრობის განკარგულება #1344
22.	სს „იორი ენერჯი“	პალდო ჰესი	-	-	-	19 აგვისტო, 2014
23.	სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“	ყვირილა ჰესი	-	-	-	22 სექტემბერი, 2014
24.	შპს. „დეკა“	დიდხევი ჰესი	-	-	-	10 სექტემბერი, 2014 საქართველოს მთავრობის განკარგულება #1565
25.	შპს. „ხვამლი“	ჯონოული 1 ჰესი ჯონოული 2 ჰესი ჯონოული 3 ჰესი	-	-	-	10 სექტემბერი, 2014 საქართველოს მთავრობის განკარგულება #1567; 68; 69
26.	შპს „გოლდ ლიფი“	ხუნევი ჰესი	-	-	-	10 სექტემბერი, 2014 საქართველოს მთავრობის განკარგულება #1559
27.	შპს „ჯეკ-LTD GGP“	ნაბლარი 2 ჰესი	-	-	-	22 სექტემბერი, 2014
28.	“CALIK ENERJI SANAYI VE TICARET A.S.”	ალპანა ჰესი სადმელი ჰესი	70.6 მგვტ 153 მგვტ	1,180,000	-	11 ოქტომბერი, 2014
29.	AHLATCI ENERJI SANAYI VE TICARET LTD STI	დოღრა 3 ჰესი	30 მგვტ	150,000	-	11 ოქტომბერი, 2014
30.	სს „სვანეთი ჰაიდრო“	მესტიაჭალა 2 ჰესი	27 მგვტ	135,000	2,700,000	31 ოქტომბერი, 2014



ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი გამოიცა მწვანე ალტერნატივას პროექტის „განათლება ენერჯეტიკის სფეროში - საქართველოში მდგრადი ენერჯეტიკის პოლიტიკის ჩამოყალიბების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით.

ამ ნარკვევში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს, ევროკავშირის და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკების დამკვირვებელთა ქსელის შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2014

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG